ქალაქ თბილისისსაკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №64

18.05.2021 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
12:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. თედო ისაკაძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.
5. დავით რურუა - კომისიის წევრი;
6. მიხეილ მესხი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032113467-03; 14.05.2021);**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-03211332-03; 13.05.2021);**
3. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი **(12-032113788-03; 17.05.2021).**

სხდომას თავმჯდომარეობდა - **შალვა ოგბაიძე.**

მომხსენებლები:

- **ვიქტორ წილოსანი** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი;

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე.

1. **,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-032113467-03; 14.05.2021):**

ვ.წილოსანი - მოგესალმებით, როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარეობს მიკროავტობუსების განახლების პროცესი, რომლის ფარგლებშიც იგეგმება ჯამში 1000 ერთეული ლურჯი მიკროავტობუსის შეძენა. ყველა მიკროავტობუსი თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი. უკვე შეძენილია 300 მიკროავტობუსი.

უნდა აღინიშნოს, რომ შეღავათიანი ტარიფები, რომელიც მოქმედებს ავტობუსებსა და მეტროში, ყველა ლურჯ მიკროავტობუსზე გავრცელდება.

უახლოეს მომავალში, სსიპ ,,თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო“-ში შეიქმნება სპეციალური სამსახური, რომელიც გაამკაცრებს კონტროლს მიკროავტობუსების გადაადგილებასთან დაკავშირებით.

ახლა კი, უფრო კონკრეტულად, წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესახებ მოგახსენებთ, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, შპს „თბილლაინს“, შპს „კაპიტალ გრუპს“ , შპს „თბილ ქარს“, შპს „ფაბლიქ ქარს“, სს „საქართველოს ბანკსა“ და სხვა შესაბამის საბანკო დაწესებულებას (ასეთი არსებობის შემთხვევაში) შორის იდება მრავალმხრივი ხელშეკრულება და შეთანხმებები.

შეთანხმებები იდება შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: ნებართვის გამცემი (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, წარმოდგენილი სსიპ „თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ მიერ) მიზნად ისახავს ქალაქ თბილისის ურბანული სატრანსპორტო ქსელისა და ინფრასტრუქტურის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად განვითარებას და განახლებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესებასა და მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. ამ მიზნით, ნებართვის გამცემმა უნდა განახორციელოს M2 კატეგორიის ავტობუსებით მგზავრთა გადაყვანის მომსახურების ეტაპობრივი ინტეგრირება, სხვა ავტობუსებით და მეტროთი მგზავრთა გადაყვანის მომსახურებებთან, რათა მგზავრებს შეეძლოთ სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით მგზავრობა ერთი მგზავრობის საფასურის სანაცვლოდ. საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას გამოყენებული M2 კატეგორიის ავტობუსების შესაბამის სტანდარტებთან შესაბამისობის გაუმჯობესების და მგზავრთა გადაყვანისას კომფორტის გაზრდის მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს არსებული M2 კატეგორიის ავტობუსების პარკის ეტაპობრივი ჩანაცვლება.

სწორედ ამ მიზნით, 2019 წლის 13 დეკემბერს, ნებართვის გამცემს და ნებართვის მფლობელებს (შპს „კაპიტალ გრუპს“, შპს „თბილ ლაინს“, შპს „თბილ ქარსა“ და შპს „ფაბლიქ ქარს“) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ხოლო 2020 წლის 29 იანვარს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიასა“ და ნებართვის მფლობელებს შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება N1, რომლის საფუძველზეც, კომპანიამ ნებართვის მფლობელებს იჯარის უფლებით გადასცა M2 კატეგორიის ავტობუსები, ჯამში 300 ერთეული.

აღნიშნული შეთანხმებით, უნდა განისაზღვროს ინტეგრირებულ სატრანსპორტო სისტემაში M2 კატეგორიის ავტობუსების ჩართვასთან დაკავშირებით მხარეთა განახლებული უფლებები და მოვალეობები, მათ შორის, ნებართვის მფლობელის მიერ მომსახურების გაწევის წესი და პირობები, მომსახურების საფასურის ოდენობა და ანაზღაურების წესი, ავტობუსების ოპერირების ზოგადი პრინციპები და ა.შ.

უფრო კონკრეტულად, შეთანხმების თანახმად, ნებართვის მფლობელები ვალდებულები არიან გამოისყიდონ ზ/ა ავტობუსები შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიისაგან“ არა უგვიანეს 2021 წლის 1 ივლისისა.

გარდა ამისა, ნებართვის მფლობელებს ეკისრებათ ვალდებულება არა უგვიანეს 2022 წლის 1-ლი იანვრისა შეისყიდონ 400 ერთეული მიკროავტობუსი.

შეთანხმების პროექტით, დარეგულირებულია ნებართვის მფლობელსა და გამცემს შორის საწვავის ანაზღაურების წესი. მხარეები თანხმდებიან, რომ ნებართვის მფლობელის მიერ საწვავისა და საწვავის მიწოდების მომსახურების შეძენა განხორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის მეშვეობით გამოვლენილი მომწოდებლისაგან, ამავე ტენდერის საფუძველზე დადგენილ ფასად და პირობებით. ამასთანავე, სააგენტო ვალდებულია აუნაზღაუროს ნებართვის მფლობელს ახალი ავტობუსების მიერ ყოველთვიურად გამოყენებული საწვავის ხარჯი და ნებართვის მფლობელისათვის საწვავის მიწოდებისათვის დადგენილი საფასური წინამდებარე შეთანხმებით დადგენილი წესით.

რაც შეეხება ავტობუსების მძღოლების და დისპეტჩერების ანაზღაურებას, ნებართვის მფლობელი ვალდებულია, დაასაქმოს ისინი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე და გადაუხადოს ხელფასი.

იმ შემთხვევაში, თუ ნებართვა გაუქმდება და სანებართვო ხელშეკრულება და შეთანხმება შეწყდება ნებისმიერი მიზეზით, ნებართვის გამცემს წარმოეშობა შეთანხმების შეწყვეტის მომენტისთვის ნებართვის მფლობელის საკუთრებაში არსებული ახალი ავტობუსების სრულად ან ნაწილობრივ უპირატესი შესყიდვის უფლება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის განხორციელების ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი **(12-032113467-03; 14.05.2021)** განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03211332-03; 13.05.2021):**

ვ.აბულაძე - მოგესალმებით, პროექტის თანახმად, დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილებები შედის იმისათვის, რომ დარეგულირდეს ინტეგრირებულ სისტემაში ჩართულ მიკროავტობუსებზე მომსახურეობის გაწევის წესი და პირობები, მათ შორის მომსახურეობის სანაცვლოდ გადახდილი თანხის ანაზღაურების ოდენობა.

ამ მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებით, ნებართვის მფლობელთან აფორმებს ხელშეკრულებას.

წარმოდგენილი ცვლილებები განპირობებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 მარტის №69 განკარგულებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის 2021-2023 წლების განვითარების პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს ინტეგრირებული სისტემის თანმიმდევრულ, ეტაპობრივ დანერგვას. იგი სრულფასოვნად 2023 წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდება.

დადგენილება ამოქმედდება 2021 წლის 1 ივლისიდან.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სამგზავრო გადაყვანის მომსახურების ინტეგრირებული სისტემის

დანერგვის, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით) ნებართვის გაცემის ფასის განსაზღვრის, ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობებისა და ნებართვის გაცემის ფასის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-82 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-03211332-03;13.05.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3.„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032113788-03; 17.05.2021):

ვ.აბულაძე - დადგენილებაში ცვლილებები განაპირობა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა, რომლის თანახმადაც, ჯარიმების აღსრულების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად გაიწერა სხვადასხვა მექანიზმები. სააგენტოს დაემატა ახალი სტრუქტურული ერთეული - ,,ვიდეოფირით ან/და ფოტოფირით დაფიქსირებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე რეაგირების სამსახური“, რომლის ფუნქციებად, არსებულთან ერთად, განისაზღვრება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12–მე-13 და მე-15 ნაწილებით და 135[1]–135[5] მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების გამოწერა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული პროცედურების განხორციელება.

ასევე, პროექტი ითვალისწინებს საჯარიმო ქვითრით – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით განსაზღვრული ჯარიმის გადახდის განხორციელებას ახალ სახაზინო კოდებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135–135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032113788-03; 17.05.2021) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე